ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5492214

ნომერი: AR1834683

თარიღი : 28.06.2021

გაცემის თარიღი : 08.07.2021

გაცნობის თარიღი : 08.07.2021

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებელის ხეივანი, N 260;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან დევდარიანი პ/ნ 42001003777
- ქ.თბილისი, პეტრე იბერის ქ.#14, ბინა #41

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ბენზინ ან დიზელ გასამართი

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვე ნი AR1834683 (28/06/2021) განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებელის N ხეივანი 260, (ს/კ N 01.72.14.006.338) ბენზინ-დიზელ გასამართი ობიექტის
განთავსების მიზნით მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენას.
საპროექტო საკადასტრო ერთეულზე (ს/კ N01.72.14.006.338)
დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის მიხედვით, ვრცელდება საზოგა დოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2).
საზოგადოებრივ–საქმიანი ზონა 2 (სსზ–2) წარმოადგენს მაღალი ინტენსივობის შერეული საზოგადოებრივ-საქმიანი ქვეზონა, რომელიც მოიცავს საქალაქო განაშენიანებული ტერიტორიების საზღვრებში (როგორც წესი გკ-ზე) არსებულ/დაგეგმილ საზოგადოებრივი გამოყენების (და მის დამხმარე) ტერიტორიებს. საზოგადოებრივ–საქმიან ი ზონა 2–ში განაშენიანების დომინირებულ სახეობას შეადგენს ობიექტები საზოგადოებრივი დანიშნულების ფუნქცი ებით; შესაძლებელია საზოგადოებრივ-
საქმიანი ზონის ფუნქციონირების უზრუნველმყოფი საცხოვრებელი შენობების/სამყოფების, როგორც არადომინირებ ული სახეობის არსებობა, არა უმეტეს შენობის საერთო ფართობის 25%-ის .
განაშენიანების რეგულირების პარამეტრები
კ-1 _0,5 * / 0,7 კოეფიციენტი
კ-2 _ 4,6 კოეფიციენტი
კ-3 _ 0,2 კოეფიციენტი
საცხოვრებელი სიმჭიდროვე – ერთეული/ჰა
მიწის ნაკვეთის ფართობი და ზომები
მინიმალური ფართობი _ 700 კვ.მ
მინიმალური სიგანე _ 20 მეტრი
მინიმალური სიღრმე _ 30 მეტრი
შენობა-ნეგებობის მაქსიმალური სიმაღლე – მეტრი

შენიშვნა
* მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის
შესაბამისად მიწის ნაკვეთზე არ არის დასაშვები ბენზინ-დიზელ გასამართი ობიექტის განთავსება.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არქიტექტურის სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფი ლოს თქვენი მოთხოვნა, ბენზინ-დიზელ გასამართი
ობიექტის განთავსების მიზნით, მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის თაობაზე.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.